შოთა რუსთაველის საქართველოს
ეროვნული სამეცნიერო ფონდი

SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE
FOUNDATION OF GEORGIA

CG

საკონფერენციო გრანტების
2024 წლის კონკურსი

შინაარსი

www.rustaveli.org.ge

- კონკურსის მიზნები
- კონკურსში მონაწილე სუბიექტები
- ბიუჯეტი და ფინანსური პირობები
- საკონკურსო დოკუმენტაცია
- რეგისტრაციის პროცედურა
- კონკურსის ადმინისტრირება
- შეფასების პროცედურა
- შეფასების კრიტერიუმები
- მნიშვნელოვანი თარიღები

მუხლი 1 - კონკურსის მიზნები

კონკურსის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში რეგიონული და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების, კონგრესების, ფორუმების, სიმპოზიუმებისა და სემინარების ჩატარებას

- სამეცნიერო ინფორმაციის გაცვლასა და გამოცდილების გაზიარებას,
- სამეცნიერო კვლევების განვითარებას,
- ქართველ მეცნიერთა შრომების პოპულარიზაციას საერთაშორისო ჟურნალებსა და სამეცნიერო კრებულებში,
- მსოფლიო პროცესებში მეცნიერთა ინტეგრირებას.

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

სამეცნიერო მიმართულებები

კონკურსი ღიაა ყველა სამეცნიერო მიმართულებისათვის

ევროსტატისა (EUROSTAT) და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) სამეცნიერო კლასიფიკატორის შესაბამისად

1. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
2. ინჟინერია და ტექნოლოგიები
3. სამედიცინო და ჯანმრთელობის მეცნიერებები
4. აგრარული მეცნიერებები
5. სოციალური მეცნიერებები
6. ჰუმანიტარული მეცნიერებები
7. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

მუხლი 2 - კონკურსში მონაწილე სუბიექტები (1/2)

გრანტის მიმღები სუბიექტები

- ❑ წამყვანი ორგანიზაცია *
- ❑ ძირითადი პერსონალი - ორგანიზატორთა გუნდი *
  - ▪ პროექტის ხელმძღვანელი *
- ❑ თანამონაწილე ორგანიზაცია
  - ▪ პროექტის თანახელმძღვანელი *

პროექტში შესაძლებელია მონაწილეობდეს

- ❑ დამხმარე პერსონალი
- ❑ თანადამფინანსებელი

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

მუხლი 2 - კონკურსში მონაწილე სუბიექტები (2/2)

ძირითადი პერსონალი - ღონისძიების ორგანიზატორი

- საქართველოს მოქალაქე, დოქტორის, მაგისტრის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობის მქონე პირი, დოქტორანტი.
- პროექტის ხელმძღვანელი - დოქტორის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი
- ფიზიკური პირი შეიძლება ჩართული იყოს კონკურსზე რეგისტრირებულ

მხოლოდ 1 პროექტში

ორგანიზაცია

- საქართველოში რეგისტრირებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ)
- საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (ა(ა)იპ)

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

მუხლი 3 - ძირითადი ფინანსური მოთხოვნები (1/2)

ბიუჯეტის კატეგორიები

- ძირითადი პერსონალის (კონფერენციის ორგანიზატორთა) საგრანტო დაფინანსება;
- დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ხარჯები:
  - კონფერენციის მონაწილეთა სასტუმროს ხარჯი;
  - კონფერენციის მონაწილეთა ტრანსპორტირების ხარჯი;
  - კონფერენციის მონაწილეთა კვების ხარჯი;
  - კონფერენციის მოსაწყობად საჭირო აპარატურის შესყიდვის ან/და დაქირავების ხარჯი;
  - კონფერენციის ჩატარებისათვის საჭირო დარბაზის დაქირავების ხარჯები;
  - კონფერენციის მასალების დაბეჭდვა;
  - სხვა საქონელი და მომსახურება (საკანცელარიო და სხვ.).

- ზედნადები ხარჯები – პროექტის ტექნიკური უზრუნველყოფისთვის საჭირო გრანტის მიმღები იურიდიული პირის მიერ გასაწევი არაპირდაპირი ხარჯები

95%

5%

პროექტის განხორციელების ვადები
გრანტის მიღებიდან 12 თვე

პროექტის საგრანტო დაფინანსება
< 170 000 ₾

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

მუხლი 3 - ძირითადი ფინანსური მოთხოვნები (2/2)

ბიუჯეტის შედგენისას გასათვალისწინებელი პირობები

❑ პროექტს შესაძლოა ჰქონდეს თანადაფინანსება – დამატებითი ფინანსური მხარდაჭერა, რომელიც ფონდიდან მოთხოვნილ საგრანტო დაფინანსებასთან ერთად არის პროექტის საერთო ბიუჯეტის შემადგენელი და ასახული უნდა იყოს პროექტში.

- თანადაფინანსებად არ განიხილება ფონდის მიერ გაცემული ნებისმიერი სხვა გრანტი.
- გრანტის სახსრებით დაუშვებელია უძრავი ქონების შეძენა, კაპიტალური რემონტი/შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქცია, ავტომანქანისა და მობილური ტელეფონის შეძენა.
- ფონდი არ ანაზღაურებს პროექტის მომზადებისა და წარდგენისათვის გაწეულ ხარჯებს.
- გრანტის მიმღებს ავანსის სახით გადაერიცხება გრანტის საერთო თანხას გამოკლებული შრომის ანაზღაურების 2/3. საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება ფინანსური და პროგრამული ანგარიშების ფონდში წარდგენისა და ფონდის მიერ მათი დადებითად შეფასების შემდეგ.

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

მუხლი 4 - საკონკურსო დოკუმენტაცია (1/2)

- **კრებსითი ინფორმაცია** * ივსება GMUS-ში
- **აბსტრაქტი*** ივსება GMUS-ში
- **საპროექტო წინადადება** * იტვირთება პროექტში pdf დოკუმენტის სახით (დანართი 3)
- **პროექტის ძირითადი პერსონალის პროფესიული ბიოგრაფიები** (CV) * - იტვირთება პროექტში pdf დოკუმენტის სახით (დანართი 4)
- **პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი** *
- **პროექტის ბიუჯეტი და ბიუჯეტის დასაბუთება** *

ივსება GMUS-ში

- **ცნობა თანადაფინანსების შესახებ** * იურიდიული ან ფიზიკური პირისგან - იტვირთება პროექტში pdf დოკუმენტის სახით (დანართი 7)

ინგლისურ ენაზე წარმოდგენილი უნდა იყოს

- კონფერენციის სათაური, აბსტრაქტი, ჩატარების ადგილი და დრო
- პროექტის ხელმძღვანელის სახელი და გვარი, წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციის სახელწოდება

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

მუხლი 4 - საკონკურსო დოკუმენტაცია (2/2)

ძირითადი პერსონალის (კონფერენციის ორგანიზატორთა) სტატუსით ჩართული ფიზიკური პირები:

- აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტები (დიპლომი, სერტიფიკატი)
- დოქტორანტის შემთხვევაში ცნობა სწავლის შესახებ შესაბამისი ორგანიზაციიდან გაცემული 2024 წელს).
- თუ აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი უცხოეთშია გაცემული, მას თან უნდა ერთვოდეს ნამდვილობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი, გაცემული „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის“ მიერ. საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში გაცემულ დოკუმენტს არ სჭირდება ქართული თარგმანი და აღიარება.
- დოკუმენტები იტვირთება მეცნიერის პროფილში pdf დოკუმენტის სახით

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

მუხლი 5 - კონკურსზე რეგისტრაცია (1/2)

პროექტის ელექტრონული რეგისტრაცია

http://gmus.rustaveli.org.ge

GMUS - გრანტების მართვის ერთიანი სისტემა

❑ ორგანიზაციის პროფილი

* სამართლებრივი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი, წესდება/დებულება
* ა(ა)იპ - ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბიზნესის რეესტრიდან

გაცემული 2024 წელს

❑ მეცნიერის პროფილი

* საქართველოს მოქალაქის პროფესიული ბიოგრაფიის მონაცემები
* აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტები
* პუბლიკაციების, სამეცნიერო ღონისძიებების, პატენტების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს გამოქვეყნების ენაზე

30 მაისი, 16:00 სთ

❑ პროექტის რეგისტრაცია

* კრებსითი ინფორმაციის, გეგმა-გრაფიკის, ბიუჯეტის შევსება
* საკონკურსო დოკუმენტების - საპროექტო წინადადება, ორგანიზატორთა CV-ები, თანადაფინანსების ცნობა

დოკუმენტები pdf ფორმატში

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი ©

მუხლი 5 - კონკურსზე რეგისტრაცია (2/2)

რეგისტრაცია ფონდის კანცელარიაში

11 ივნისი, 18:00 სთ

- **განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ**
  - * დამოწმებული ძირითადი პერსონალის (ორგანიზატორთა) ხელმოწერებით
  - * წამყვანი/თანამონაწილე ორგანიზაციის უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

მუხლი 6 - კონკურსის ადმინისტრირება

ტექნიკური ექსპერტიზა

- რეგისტრირებული პროექტების კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით ფონდი ჩაატარებს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ტექნიკურ ექსპერტიზას, დაადგენს ხარვეზს და იმოქმედებს კანონის შესაბამისად;

- ფონდი უფლებამოსილია საგრანტო კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე კონკურსიდან მოხსნას პროექტი, თუ:

  - არ შეესაბამება კონკურსის მიზნებისათვის საქართველოს მთავრობის 2008 წლის 9 ივლისის N149 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს ან ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულ კონკურსის პირობებს;

  - კონკურსის პირობების მე-4 მუხლით განსაზღვრული დოკუმენტები წარმოდგენილია არასრულად, ან შეიცავს ყალბ ინფორმაციას, ან წარმოდგენილია დადგენილი ფორმებისა და ვადების დარღვევით.

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

შეფასების პროცედურა

- პროექტების შეფასებასა და გამარჯვებული პროექტების გამოვლენას ახორციელებს საკონკურსო კომისია
- საკონკურსო კომისია იქმნება ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით
- კომისია ხელმძღვანელობს საქართველოს მთავრობის 2008 წლის 9 ივლისის №149 დადგენილების მე-6 მუხლით დადგენილი წესებითა და ამავე დადგენილების დანართით დამტკიცებული „საკონფერენციო გრანტების კონკურსში შემოსული განაცხადების შეფასების კრიტერიუმების“ შესაბამისად
- კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში ფონდი უფლებამოსილია კომისიაში მონაწილეობის მიღების მიზნით მოიწვიოს დამატებით დამოუკიდებელი ექსპერტები სათათბირო ხმის უფლების გარეშე, რომელთა ვინაობა კონფიდენციალურია

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

შეფასების კრიტერიუმები

1. კონფერენციის სტატუსი, მასშტაბი და სამიზნე ჯგუფები
2. კონფერენციის მიზანი და ამოცანები
3. კონფერენციის სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა და აქტუალურობა
4. მოსალოდნელი შედეგების ხელმისაწვდომობისა და გავრცელების მექანიზმები (მასალებზე ღია წვდომა, მედია გაშუქება, მარკეტინგი)
5. პროექტის განხორციელების გზებისა და გრაფიკის შესაბამისობა
6. არსებული და მოთხოვნილი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყენების რეალურობა
7. პროექტის ძირითადი შემსრულებლების შესაბამისობა პროექტის მიზნისა და ამოცანების განხორციელებასთან
8. შემოთავაზებული ბიუჯეტის შესაბამისობა - თანადაფინანსება

თითოეული კრიტერიუმი ფასდება min 0 და max 5 ქულით

შესაძლებელია 0.5; 1.5; 2.5; 3.5 და 4.5 ქულების მინიჭება.

ერთნაირი ქულების შემთხვევაში, განიხილება პირველი კრიტერიუმის ქულა;

ამ კომპონენტის დამთხვევის შემთხვევაში, დაფინანსდება ნაკლები ბიუჯეტის მქონე პროექტი.

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

მნიშვნელოვანი თარიღები

- **2024 წლის 15 და 22 მაისის 15:00 საათი** – საკონკსულტაციო ვებინარი
- **2024 წლის 16 მაისი - 30 მაისი, 16:00 სთ-მდე** – პროექტების ელექტრონული რეგისტრაცია
- **2024 წლის 11 ივნისის 18:00 სთ-მდე** – ფონდის კანცელარიაში განცხადების წარდგენა
- **2024 წლის ივნისი** – რეგისტრირებული პროექტების ტექნიკური ექსპერტიზა
- **2024 წლის ივლისი** – პროექტების შეფასება საკონკურსო კომისიის მიერ
- **2024 წლის ივლისი-აგვისტო** – კონკურსის შედეგების გამოქვეყნება და საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმება.

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

შოთა რუსთაველის საქართველოს
ეროვნული სამეცნიერო ფონდი

SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE
FOUNDATION OF GEORGIA

გმადლობთ ყურადღებისთვის!

cg@rustaveli.org.ge